# სახალხო გაზეთი

№ 683 შაბათი, 25 აგვისტო, 1912 წ. № 683

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: **ასპირო გიორგის ასული ტულუშისა, მინადორა არჯევანის ასული ტულუშისა, ბაბილინა ნიკოლოზის ასული დოლიძისა, ვანო, ნიკო, შოთა და პელაგია ტულუშები, მოსე და პროკოფი დოლიძეები, პარმენ სოლომონის ძე თოთიბაძე და ნადეჟდა მოსეს ასული თოთიბაძისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა ვარშავის სასტუმროში (ქ. ვარშავა) პირველის მარად დაუვიწყარი შვილი, მეორისა უძვირფასესი ქმარი, მესამეს გულით საყვარელი ძმა, მეოთხისა, მეხუთეს, მეექვსეს და მეშვიდეს საყვარელი მამა, მერვეს ცოლის ძმა დანარჩენთა ბიძა.

## მოსე ნიკოლოზის ძე ტულუში

26 აგვისტოს დილის ათ საათზე ოზურგეთის საკრებულო ტაძარში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი იმის სულის მოსახსენებლად. (1—626—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძასნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **ზალდასტანიშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშვილოსნო და ქალთა სნეულებანი | **ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულხანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფიდოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 910.101)

გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

## გაზეთი კახეთში.

2 სექტემბრიდან **ქ. სიღნაღში** გამოვა **კ. ი. ტყავაძის** რედაქტორობით ყოველ-დღიური (ჯერ-ჯერობით მარტო კვირაობით) ქართული გაზეთი

## „ხმა კახეთისა“

**ფასი გაზეთისა:**

| | გაზეთის კანტორაში. | სიღნაღში დატარებით. | სოფლის აგენტებთან. | ფოსტით. |
|---|---|---|---|---|
| **წელიწადში** — | 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. | 1 მ. 40 კ. | 2 მ. 20 კ. |
| **1 იანვრამდე** | 40 „ | 50 „ | 50 „ | 80 „ |
| **ერთი თვით** | 10 „ | 12 „ | 12 „ | 20 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

რედაქცია და კანტორა იმყოფება წმინდა-სტეფანის ქუჩ., № 22, სახლი ი. ტყავაძისა.
(3·1466.1) ფოსტით მისამართი: **ქ. სიღნაღი. კ. ი. ტყავაძეს.**

## ტფილისის სათავ.-აზნაურო გიმნაზიის დირექტორი

უცხადებს ამ გიმნაზიის მოწაფეთ,

რომ შაბათას, 25 ამ თვეს, ნაშუადღევის 4½ საათზე უნდა გამოცხადდნენ გიმნაზიაში საზაფხულო ტანისამოსში სუფთად ჩაცმულნი (შავი შარვალი, თეთრი ბლუზა და ქუდი.) (3.1462.3)

მიიღება ხელის მოწერა

## „მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რ ო მ ა ნ ი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—5)

## წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში

ოცდა-შვიდიდამ ამ მარიამობის თვიდამ პირველ ენკენისთვემდინ მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (5—1443—5)

გამოსულია და იყიდება

## ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## აგენტი მ. ა. გაჩონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

**ადრესი:** 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
(10.1436.5) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

## ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

**მიღება და ჩაწერა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.**
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29.
სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.
მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ

**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.**

(12.1435.9) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება სახელმძღვანელო წიგნები:** (20% დათმობით)

| | |
|---|---|
| გოგებაშვილის დედა-ენა I უყდო . . . . . . ფ. 10 კ. | იოსელიანის ლოცვანი ყდით 30 კ. |
| „ „ I ყდიანი— 15 კ. | „ საღმრთო სჯული — 50 კ. |
| „ „ II — — 40 კ. | ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი . . . . . . . . 60 კ. |
| „ ბუნების კარი . . . 70 კ. | ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ. 1 მ. 25 კ. |
| „ Методика къ Русскому слову . . . . . . 40 კ. | აკაკი. იგავ არაკნი . . . . 50 კ. |
| „ Русское слово I . . 40 კ. | ვეფხის ტყაოსანი . . . . . 60 კ. |
| „ „ „ II . 50 კ. | კაცია-ადამიანი? . . . . . 20 კ. |
| გომელაური. ქართველი მწერლები . . . . . I . . . 80 კ. | გლახის ნაამბობი . . . . . 20 კ. |
| „ „ II 1 მ. 45 კ. | კაკო ყაჩაღი . . . . . . 5 კ. |
| | ქართ. წერის დედანი სახატავი ნიმუშებით . . . . . . . 25 კ. |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.108)

გამოსულია და იყიდება

## ნ. შიუკაშვილის პიესა „მემკვიდრეობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 დიდუბე). (თ.—1049—127)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.186).

## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თხქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 372)

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.15).5)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**ღოიდებ ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მოპიდვე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“** - (წლ—1018—63).

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—72)

## მედიცინის დოქტორი ი. ბ. ჭუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფ. 1090. (6—1453—3)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—97)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6¼ საათ. კახეთის ქ., № 6

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—50)

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.11)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი ს. ი. ზძელიშვილი** შინაგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—31)


## ტფილისი 25 აგვისტო

**კიდევ არჩევნების გარშემო.**

ეხლანდელი საარჩევნო კანონი დიდს უპირატესობას ანიჭებს მსხვილ მემამულეთ. ტფილისის გუბერნიაში, მაგალითად, სულ 55 ამომრჩეველია. აქედან მარტო მემამულენი ირჩევენ 29 ამომრჩეველს. ქუთაისის გუბერნიაში 38 ამომრჩევლიდან 22 მემამულენი ირჩევენ. ეს ისეთი უმრავლესობაა, რომელიც არჩევნებში უპირატესობას მემამულეთ აძლევს. მიუხედავად ამისა, მესამე სათათბიროში მაინც მემარცხენენი გავიდნენ. დღეს გარემოება შეიცვალა. არამც თუ რუსეთში, ჩვენშიაც კი მსხვილი თავად-აზნაურობა არჩევნების უბრალო მოწმად არ დარჩება. იგი უსათუოდ მოინდომებს არჩევნებში აქტიურ მონაწილეობის მიღებას და განსაზღვრულ ტენდენციასაც შეიტანს მასში. ეს ტენდენცია დეპუტატთა საკრებულოში შეკუშავდება. ვინც ამ დაწესებულების მოქმედებას კარგად იცნობს, ეცოდინება, რომ იგი მატარებელია ერთგვარ პოლიტიკურ მოძრაობისა, რომელიც ორი ღმერთის სამსახურში გამოიხატება. მაგრამ ეს პოლიტიკა განსაკუთრებული თვისებისაა. იგი უბრალო მლიქვნელობას უფრო წააგავს, ვიდრე თეორეტიულად ჩამოყალიბებულს პოლიტიკურს მსოფლ-მხედველობას. დეპუტატთა საკრებულოს გარშემო შეკრებილი თავად-აზნაურობა უსათუოდ ეცდება ისეთი კანდიდატი წამოაყენოს, რომელიც სათათბიროში თავად-აზნაურულ ტენდენციებს განავითარებს და პოლიტიკურ საქმიანობას უბრალო პოლიტიკანობის საფეხურამდე ჩამოიყვანს.

ასეთი სულიერი განწყობილება არსებობს დღეს თავად-აზნაურთა იმ წრეში, რომელიც დეპუტატთა საკრებულოს გარშემოა შეკრებილი და რომელსაც სათათბირო ისეთს დაწესებულებად მიაჩნია, სადაც დეპუტატმა თავისი თავად-აზნაურული გრძნობების დემონსტრაცია უნდა მოახდინოს. მაგრამ თავად-აზნაურთა ამ ნაწილის გარდა, არსებობს დიდი ნაწილი წვრილ თავად-აზნაურობისა, რომელსაც უკეთესად აქვს შეგნებული დღევანდელი პოლიტიკური მომენტი. აი ამ უკანასკნელებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ, რომ სათათბირო, სადაც რუსული ნაციონალიზმი უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს, სადაც არა რუსთა ინტერესებს უფრო მეტის უდიერობით მოეპყრობიან,—ეს სათათბირო ასპარეზია პოლიტიკურ ბრძოლისა და ამიტომ იგი ხელში არ უნდა ჩაუვარდეს ისეთს ადამიანს, რომელიც, გულ-ახდილ მოქმედების ნაცვლად, მლიქვნელობას დაიწყებს.

სამმა არჩევნებმა გაიარა ჩვენს თვალწინ. საძივე სათათბიროს საქართველომ მემარცხენენი აჩუქა. მაგრამ ეს მემარცხენენი მთელ თავის მოქმედებას ჩრდილოეთიდან მოსულ დირექტივებს უმორჩილებდნენ. საქართველო და მისი პოლიტიკური ინტერესი მათ არა სწამთ. თუ მომავალ არჩევნებში თავად-აზნაურთა რეაქციონურმა ნაწილმა გაიმარჯვა, სათათბიროში წავა უარესი ფორმაციის საქართველოს უარისმყოფელი. პირველნი საქართველოს საკითხის წამოყენებას გაურბოდნენ პარტიულის მოსაზრებით, მეორენი წინააღმდეგნი იქნებიან იმიტომ, რომ მთელი მათი არსება პოლიტიკურად გადაგვარებულია. საქართველოს კი უნდა ისეთი დეპუტატი, რომელიც

რუსულ გაძლიერებულ ნაციონალიზმს დაუპირისპირებს მტკიცე ეროვნულ მოქმედებას და იტყვის თავის კატეგორიულ სიტყვას. ვერც ჩვენი სოციალ-დემოკრატები და ვერც ჩვენი გადაგვარებული თავად-აზნაურობის კანდიდატი ამ კატეგორიულ სიტყვას ვერ იტყვის...

# ქართული პრესა

ქუთათურ „დილა“-სა ჰგონია, რომ ჩვენ იმისი აზრი დავამახინჯეთ, და ცდილობს ხელ-ახლად განგვიმარტოს.

„ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, —სწერს „დილა“,—რომ ეს ორი პრინციპი (ჩვენის თქმით „ეროვნული ინტერესების დაცვა და დემოკრატიზმი და „დილა“-ს თქმით „დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი) მოურიგებელია. ნაციონალ-დემოკრატობა პოლონეთის კოლოსაც გაკრული აქვს შუბლზე, მაგრამ ფაქტიურად მას დემოკრატიზმისა არაფერი სცხია. ეს იმიტომ, რომ ნაციონალიზმი წინაამდეგია დემოკრატიზმისა, იმიტომ რომ შეერთება ამ ორი პრინციპისა წარმოადგენს ლოღიკურს აბსურდს, და ცხოვრებაში განუხორციელებელია“.

საცოდავი „პუბლიცისტები“. თავის ფანტაზიის ნაყოფს ეომებიან, ლამანჩის ცნობილ გმირსავით, და ჰგონიათ, საქმეს აკეთებენ! ვსთქვათ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი ერთი მეორის უარის მყოფელი მცნებაა! ვინ გასწავლათ, რომელ მეცნიერებაში ამოიკითხეთ, რომ დემოკრატიის წინააღმდეგნი არიან, მაგალითად, ის ირლანდიელები, რომლებმაც ირლანდიის ავტონომია განახორციელეს, ან ის ფინლანდელები, რომელნიც ფინლანდიის ავტონომიას იცავენ?

ვიცით, რასაც გვიპასუხებთ: ისინი თქვენ არა გგვანანო. მაგრამ ეს მრავალჯერ ნახმარი საბუთი, ხომ საბუთად არ შეიძლება ჩაითვალოს! მაშ, სხვა რა საბუთით შეგიძლიანთ დაამტკიცოთ, რომ დევიზი—დაცვა ეროვნულ ინტერესებისა უსათუოდ ნაციონალიზმია და დემოკრატიზმს ეწინააღმდეგება? მიჰმართეთ ჩვეულებრივ არგუმენტს—დემაგოგიას, თორემ სხვაფრივ ვერაფერს დაამტკიცებთ.

გორის გაზეთი „ქართლი“ „დილას“ საპასუხოდ სხვათა შორის სწერს:

„მე ძალიან კარგად ვიცნობ „დილა“-ელებსა და მათ მშობელ-აღმზრდელებს — ამაში თითონაც დამეთანხმებიან,—ვიცი, რომ ზოგიერთი მისი მამათ-მთავართაგანი არავისზე ნაკლები ქართველი არ არის, ვიცი, რომ ისინიც გულით ატარებენ „ოცნებას ტანჯულის ქვეყნისას“, მაგრამ იმ დროს, როდესაც ყველა ერისა და ტომის ს.-დემოკრატია თავის საკუთარ ეროვნულ დროშის ქვეშ არსებობს და მოქმედებს, ამ ყმაწვილებს იმდენი გამბედაობა არა აქვთ, რომ თავისი დასი **ქართველად** აღიარონ. „დილა“-ელები ჩაიყლაპა რუსეთის ერთ-ერთ პარტიისაგან, გაითქვიფა ამ პარტიაში და ამ პარტიის ბრძანებათა მეოხებით „დილა“-ელებმა დაჰკარგეს თავისი **ვინაობა**.

# ნარკვევი

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთ „ქართლში“ დაიბეჭდა წერილები სომეხთა ინტელიგენციის შესახებ. „ქართლი“ სხვათა შორის სწერდა სომეხთა ნაციონალისტების ზედგავლენით, ქართულ სოფლებში სომხების ეკლესიაში სომხურად დაიწყეს წირვა-ლოცვაო. ამის გამო „ზაკავკაზიე“ შენიშნავს.

„ცხადზე უცხადესია, ჩვენ მწუხარება არ გამოგვითქვამს იმის გამო, რომ სომხურ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად აღარა სწარმოებს, როგორც არა სწუხს ამის გამო „ქართლიო“. სომხის მღვდლის სიტყვები „ქართლმა“ მხოლოდ ორ მეზობელ ერის მეგობრობის დამამტკიცებელ საბუთად მოიყვანა“.

რა თქმა უნდა, სამწუხარო არაფერია იმაში, რომ სომხურ ეკლესიებში სომხური წირვა-ლოცვა სწარმოებდეს და არა ქართული, მაგრამ ერთი რამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ. დამტკიცებული ფაქტია, რომ არსებობენ **ქართველი გრიგორიანები**. სომხის სამღვდელოებასა და საზოგადოებას ყველა გრიგორიანი აუცილებლად სომეხი ჰგონია. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ამის დავიწყება ჩვენ გვგონია საჭირო არ არის.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **თავ. პ. მ. თუმანიშვილი** ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, [illegible] რუნდა.

✦ **ფარულად დაკლული საქონელი.** ქალაქის სავაჭრო პოლიციამ გუშინ სალდათის ბაზარზე, კოპაჩაშვილის საყასბოში ფარულად დაკლული საქონელი აღმოაჩინა. სულ აღმოჩნდა 40 ფუთამდე ბეჭედ-დაუსმელი ხორცი, რომელიც წაართვეს და ქალაქის სასაკლაოში გაჰგზავნეს. დამნაშავეს სამართალში აძლევენ.

—გუშინ ვაჭარ ანდრეევს (სალდათის ბაზარზე) ყალბი სასწორი უპოვეს და ოქმი შეუდგინეს.

✦ **ნიხრის დარღვევისათვის** გუშინ რამდენიმე ოქმი შეუდგინა მეპურეებსა და ყასბებს ქალაქის მესამე უბნის სავაჭრო მეთვალყურემ ბ-ნმა გიგიბერიამ.

✦ 22 აგვისტოს მაძებარმა პოლიციამ გაჩხრიკა შალვა გარსევანის ძის რატიანის ბინა (სიონის ქუჩა, სახლი № 11) და **რევოლვერი აღმოაჩინა.** რომლის შენახვის ნებართვაც რატიანს არა ჰქონდა. რატიანს სამართალში აძლევენ.

✦ **შეიპყრეს.** გორის მაზრის სოფელ ლამისყანის მცხოვრები იოსებ გაბრიელის ძე ბეგიაშვილი, რომელიც 1906 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

✦ ახალგაზრდა პოეტი **ა. შანშიაშვილი** გუშინ საზღვარ გარედ გაემგზავრა.

✦ როგორც გადმოქვცეს, ქალაქ ნიკოლაევის საპყრობილედან გაუნთავისუფლებიათ მეორე სათათბიროს ნადეპუტატარი **ირაკლი წერეთელი,** და მისჯიათ სამუდამო გადასახლება ციმბირში იაკუტსკის გუბერნიაში.

✦ **ფილოქსერასთან მებრძოლი დასები** 22 აგვისტოს კახეთს გაემგზავრნენ ინსტრუქტორების მარქარაშვილისა და იოსელიანის მეთაურობით.

✦ ქალაქის გამგეობის მდივანი ს დანდუროვი რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **გარდაიცვალა** 23 აგვისტოს მიხეილის საავადმყოფოში შემთხვევით ტყვიით დაჭრილი ელისაბედ პლატონის ასული ბუხრაძე.

✦ **წვრილ კრედიტის** საქმეთა სამართველომ ნება დართო, წვრილი კრედიტის ამხანაგობანი დაარსონ შემდეგს ადგილებში: 1) **ნაფარეულში** (თელავის მაზრა), 2) **წინანდალში** (თელავის მაზრა), 3) **დუშეთში**. და 4) შახნაზარში (ბორჩალოს მაზრა).

✦ **დამპალ ციებასთან მებრძოლი კომიტეტი** უკვე შესდგა.

✦ 23 აგვისტოს 70 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

[illegible] 10 სექტემბერს მოხდება.

## სასწავლებლებში.

✦ **საკადეტო კორპუსი** მანგლისიდან ტფილისში დღეს გადმოვა.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** დღეს მოხდება ქალაქის გამგეობისა და საუნივერსიტეტო კომისიის შეერთებული კრება.

✦ **ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის** საპედაგოგო საბჭოს კრება დღეს მოხდება იმ პირთა თხოვნების განსახილველად, რომელთაც ამ სასწავლებელში მასწავლებლობა ჰსურთ.

## სიღნაღი

✦ 2 სექტემბრიდან სიღნაღში კ. ტყავაძის რედაქტორობით გამოვა ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „ხმა კახეთისა“.

## ქუთაისი.

✦ **მესამე სათათბიროს დათხოვნა.** გაზეთ „კავკაზს“ საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს პეტერბურგიდან: მეოთხე სახელმწიფო დუმის სხდომები გაიხსნება 15 ნოემბერს. უქაზი მესამე დუმის დათხოვნის შესახებ გამოქვეყნდება 30 აგვისტოს. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით მოსკოვში, კიევში, ოდესაში და რიგაში სახ. დუმის არჩევნები მოხდება არა უადრეს 15 ოქტომბრისა, დანარჩენ ადგილას სხვა და სხვა დრო დაინიშნება არჩევნებისთვის, ისე კი, რომ 15 ნოემბერს ახალი დუმა უსათუოდ უნდა შეიკრიბოს.

✦ რუსული გაზეთების ცნობით — სახალხო განათლების მინისტრს ბ-ნ კასოს აზრად აქვს დაარსოს ანში არხეოლოგიური ინსტიტუტი.

✦ ერთი თვის დატუსაღების შემდეგ ქუთაისის საპყრობილედან 22 აგვისტოს გაანთავისუფლეს გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი ალ. სულაქველიძე.

✦ ქალაქის ინჟინერ ბ-ნ მიხაილოვს უკვე დაუმთავრებია პროექტი ქუთაისის მეოთხე ხიდისა. ამ პროექტს მალე განიხილავს სპეციალური კომისია.

✦ ქუთაისის ირგვლივ მდებარე სოფლებში მძვინვარებს ციებ-ცხელება, მუცელა და სახადი.

✦ ქალაქის თავი ბ-ნი ჩიქოვანი, ისევ საზღვარგარეთ წავიდა; ქუთაისში ბ-ნი ჩიქოვანი დაბრუნდება 10 ენკენისთვეს და ამ დღიდან შეუდგება თავისი თანამდებობის აღსრულებას.

✦ ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა მოხდება 6 ენკენისთვეს.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი ენკენისთვის პირველ რიცხვებში გამართავს სალიტერატურო დილას განსვენებულ საზოგადო მოღვაწე-პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემად.

✦ 10 ენკენისთვეს ქუთათური ებრაელები აირჩევენ ახალ რაბინს.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების პირველ რაიონის ინსპექტორი ბ-ნი კარპოვი, რომელიც კავკასიის ერთ-ერთ სამასწავლო სემინარიის დირექტორად გადაჰყავდათ, თავისივე სურვილით დარჩა ისევ ძველ თანამდებობაზე.

✦ ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი ერასტი მაჭარაძე გადაიყვანეს ხონის სავაჭრო პროგიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებლად.

✦ ს. სვირიდან გვწერენ—ყურძნის მოსავალს წელს აქეთ კარგი პირი უჩანს. („დილა“)

# ჩვენი თეატრის კრიზისი.

აი თემა, რომელსაც დასასრული აღარ უჩანს. და მართლაც, შესწევს კი ვისმეს გაითვალისწინოს ყოველისფერი, რაც თქმულა ჩვენს თეატრზე? ახალგაზრდა თუ მოხუცი, მწერალი, მსახიობი, ყველა უკმაყოფილოა ჩვენი სცენით, ყველანი გრძნობენ მის დაქვეითებას, სურთ კიდევაც მისი გარდაქმნა, ამაღლება, მაგრამ ამაოდ: დღევანდლამდის იგი უცვლელია, მოუწესრიგებელი.

მეც მინდა ჩემი აზრი გამოვსთქვა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ბევრი არა თუ არ დამეთანხმება, პირ-იქით, საყვედურსაც მეტყვის და გამიწყრება.

მართლაც, რა არის მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა? რითი აიხსნება, რომ აქამდის ვერ გადაიქცა ჩვენი ერის საქებლად და სადიდებლად?

როგორც პრესაში, ისევე კერძო ლაპარაკის დროს მთელი სჯა-ბაასი ქართულ სცენის შესახებ უფრო ორ გამორკვეულ აზრ შორის ტრიალებს. ზოგი დრამატიულ საზოგადოების გამგეობას სდებს ბრალსა, ზოგი—მსახიობთ.

მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს: ვის შეუძლიან მიგვითითოს ისეთ თეატრზე რუსეთში, ან გინდ მთელს ევროპაში, სადაც გამგეობას, თუ კი იგი არსებობს, და მსახიობთა შორის უთანხმოება, კინკლაობა არ სუფევდეს, სწორედ ასევე როგორც ჩვენში, საზოგადოება უკმაყოფილებას არ უცხადებდეს, ბრალს არა სდებდეს ან ერთს და ან მეორეს. ნუ თუ ჯერ არავის არ გაუგონია ის ვაი-ვაგლახი და დავიდარაბა, რომელიც ყოფილა და იქნება შემდეგშიაც, მაგალ. პეტერბურგის ალექსანდროვის თეატრში სწორედ ამავე ნიადაგზე? მერე? განა ეს ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ეს თეატრი დაქვეითებულია, რომ იგი სულიერის საიდუმლოებით ვეღარ ათბობს გოგოლის, ოსტროვსკის და ჩეხოვის პიესებს? რა ბრძანებაა! პირ-იქით, ეს თეატრი ვითარდება, ზრდის საუკეთესო ახალგაზრდობას და რუსეთის თეატრის ცხოვრებაში იგი კლასსიკურ აკადემიზმის დროშას ატარებს.

ნამდვილი მიზეზი კი ჩვენის თეატრის კრიზისის, ჩემის აზრით, სულ სხვაა, იგი ფარული და ღრმაა, სრული
თით იქ არა სუფევს, სადაც ეძიებენ, იგი თვით ჩვენშია, ჩვენს სულიერ ლტოლვილებაში, [illegible] გარეში.

გადაჭრით [illegible] ჩვენი თეატრის გარდაქმნა, [illegible] არარსებობა იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენი ინტელიგენცია ითხოვს; შეუძლებელია იმიტომ, რომ არსებული ქართული თეატრი ერთგვარ უკვე ჩამოყალიბებულ ტიპისაა ბუნებით, იგი დაარსდა და განვითარდა სულ სხვა ისტორიულ პირობებში და ემსახურება ისეთს დანიშნულებას, რომელსაც საერთოდ ჩვენი ერისთვის მნიშვნელობა აღარა აქვს.

ჩვენ გვინდა ის, რის მოცემაც არსებულ თეატრს არ შეუძლიან, ჩვენთვის საჭიროა სულ ახალი კულტურა თეატრისა, რომელიც იქნება გამომხატველი ჩვენი ცხოვრების ძირითად თვისებებისა და ქართველ ადამიანის სულიერ დრამისა. ამის შექმნა კი ჩვენ სცენას არ ძალუძს, ვინაიდან იგია თვისებით თეატრი-გამრთობი (Театръ развлеченіе), ღვიძლი ძმა Comedie française-ისა; და როგორც მის მონათესავე ტიპს, მასაც აქვს საკუთარი გარკვეული რიტმი, ერთგვარი რიგი (სტილი) მსახიობისა, თავისი სკოლა, სისტემა და ამ რიგად ყოვლად სამართლიანი, დიდხარისხოვანი თავის სფერაში, ბუნებრივად წინააღმდეგია, შეუსაბამოა ახალ დრამისა, მხატვრულ თეატრისა.

ქართული სცენა იშვა სწორედ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი განვითარება მხოლოდ ის იყო იწყებოდა, ერთად ერთს სულიერად ცოტად თუ ბევრად მთლიანს და მატერიალურად შეძლებულ კლასს ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურობა წარმოადგენდა. ქართულ დრამას მოკლებული, იგი აარსებს თეატრს, როგორც ერთგვარ გასართობ ადგილს, უქვემდებარებს მას მწერლობას და ფარსიულ ხასიათს დედა-ბოძად უდებს. ამ ნიადაგზე წარმოშობილი თეატრი კიდევაც იზრდება, ვითარდება, მას დაუყონებლივ ხელს უწყობენ თავიანთ ნაწარმოებებით მთელი ჯგუფი ნიჭიერ მწერლებისა, მაგ. გ. ერისთავი, ცაგარელი და სხვ. ქართული სცენაც იმ ხარისხამდის აწევს, რომ ბადალი მას მთელს რუსეთშიაც ბევრი არ მოეპოვება. მასთანვე აღიზარდნენ მთელი რიგი დიდხარისხოვან მსახიობთა, შესისხორცებულნი ერთმანეთში ერთგვარ არტისტიულ თვისებით და ბუნებით.

ამ გვარ ტიპის თეატრის წარმოშობა საქართველოში ისტორიულად ისევე კანონიერია, როგორადაც საერთოდ მთელ ევროპაში, ვინაიდან ჩვენი ერის სულიერი კვეთება ჯერჯერობით დრამატიულ ფორმებში ჩამოყალიბებული არ იყო.

# გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(შემდეგი *)

**გრეგ.** მერე, ეგრეც რომ იყოს?

**ედვ.** ჰო, და იმას მაინც შეეძლო ჩემი სიყვარული, უფრო მომეტებულადაც. აი, გარეული იხვიც გვაჩუქეს, მე კი ისე მიყვარს, ისე მიყვარს...

**გრეგ.** ჰო, ჰო, გარეული იხვი, მართლა. მოდით, ედვიგ, გარეულ იხვზე ვილაპარაკოთ.

**ედვ.** საწყალი იხვი. აღარც იმისი ნახვა უნდა მამას ამას იქით. თქვენ წარმოიდგინეთ, იმას უნდოდა კიდევაც იხვისთვის კისერი მოეგრიხა.

**გრეგ.** აბა რას ამბობთ! ის მაგას თავისს დღეშიც არ იზამს!

**ედვ.** ჰო, მაგრამ სთქვა მაინც კი ეგა, რაც ცუდია მამა ჩემის მხრივ, იმიტომ რომ მე ყოველ საღამოთი ვლოცულობ გარეულ იხვისთვის და ღმერთსა ვსთხოვ, რომ მან ის დაიფაროს სიკვდილისა და ყოველი უბედურობისაგან.

**გრეგ.** (უცქერის). ყოველ ღამე ლოცულობთ?

**ედვ.** რასაკვირველია.

**გრეგ.** ვინ გასწავლათ ლოცვა?

**ედვ.** მე თვითონ ვისწავლე. ერთხელ მამა ავად იყო, კისერზე წურბელები მოჰკიდეს. ის მაშინ იძახდა, რომ სიკვდილს ვებრძვიო.

**გრეგ.** ჰო.

**ედვ.** მაშინ დავიწყე ლოცვა მამისთვის ღამ-ღამობით. იმის შემდეგ ყოველთვისა ვლოცულობ.

**გრეგ.** ეხლა თქვენ იხვისთვისაც ლოცულობთ ხოლმე.

**ედვ.** ჰო, ის პირველად სრულიად ავადმყოფი იყო. მეც ვიფიქრე, რომ კარგი იქნება, თუ იმისთვისაც ვილოცებ მეთქი.

**გრეგ.** დილითაცა ლოცულობთ ხოლმე?

**ედვ.** არა, დილით არა ვლოცულობ.

**გრეგ.** რატომ?

**ედვ.** დილით სინათლეა, თითქოს არც კი გეშინიან.

**გრეგ.** როგორ მოხდა, რომ მამა თქვენს უნდოდა თქვენი საყვარელი იხვისთვის კისერი მოეგრიხა?

**ედვ.** იმან მხოლოდ სთქვა, უმჯობესი იქნებოდა კისერი მომეგრიხნაო, მერე კი ჩემი გულისთვის შეინანა. ეს ისე კარგი იყო იმის მხრივ.

**გრეგ.** (მიუახლოვდება). აბა, თქვენი ნებით რომ შესწიროთ იმას თქვენი იხვი.

**ედვ.** (ადგება). ჩემი იხვი?

**გრეგ.** ჰო, თქვენი ნებით რომ შესწიროთ იმას ყველაზე ძვირფასი, რაც კი გაქვთ.

**ედვ.** მერე განა ეგ უშველიდა რამე?

**გრეგ.** სცადეთ, ედვიგ.

**ედვ.** (ხმა დაბლა, გაბრწყინვებული თვალებით). ჰო... ვცდი.

**გრეგ.** ვითომ გაბედავთ?

**ედვ.** პაპასა ვსთხოვ, რომ თოფი ესროლოს.

**გრეგ.** ჰო, კარგს იზავთ, მხოლოდ დედას არაფერი უთხრათ.

**ედვ.** რატომ?

**გრეგ.** ის ვერ მიხვდება თქვენი საქციელის აზრსა.

**ედვ.** ჩემი იხვი... ხვალ დილით მე... (შემოდის გინა. ედვიგი იმისკენ გაექანება). ვერ იპოვე, დედა!

**გინა.** ვერა, მაგრამ გავიგე კი, რომ რელლინგთან ყოფილა და ორივე სადღაც წასულან.

**გრეგ.** თქვენ ეგ დანამდვილებით იცით?

**გინა.** ჰო, მეკარე დედაკაცმა მითხრა. მოლვიკიც თან წაუყვანიათ.

**ედვ.** ეხლა, როცა იმას ისე ესაჭიროება მარტოობა, რომ მთლად იმ ტანჯვათა ბოლმა მოიბრუნოს...

**გინა.** (პალტოს იხდის). დიაღ, სხვა და სხვანაირები არიან კაცები. ღმერთმა უწყის, საით წაათრევდა რელლინგი. ქ-ნ ერიქსენთან შევიარე, მაგრამ იქ არ მისულან.

**ედვ.** (ცრემლებს იმაგრებს). სრულებით რომ აღარ დაბრუნდეს.

**გრეგერ.** დაბრუნდება. მე მოვიყვან იმას ხვალ დილით. და მაშინ ნახავთ, როგორი გამოცვლილი დაბრუნდება. გულ-მშვიდად დაიძინეთ, ედვიგ, ღამე მშვიდობისა. (გადის).

**ედვ** (ღრიალით მოეხვევა ყელზე გინას). დედა, დედა!

**გინა.** (თავზე ხელს უსვამს ოხვრით). ჰო, რელლინგი მართალი იყო. აი რა ხდება, როცა სახლში შემოდიან ჭკუა-შეშლილები თავიანთი... რა ჰქვიან რაღაც მოთხოვნილებებით,

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეხუთე.

იგივე ოთახი. ოთახში დილის ნაცრისფერი სინათლეა. ფანჯრებიდან მოსჩანს სახლის სახურავზე თოვლი, გინა ფეშტამლით შემოდის სამზარეულოდან, ხელში უჭირავს ჩოთქი და ტილო. ტალანიდან ედვიგი გამოდის.

**გინა.** (შეჩერდება). რა?

**ედვ.** თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის ძირს არის... რელლინგთან...

**გინა.** აბა, აი ჰხედავ.

**ედვ.** მეკარე დედაკაცმაცა სთქვა, გავიგე რელლინგი რომ მოვიდა, და იმასთან ვიღაც ორი კაციო.

**გინა.** მეც მაგ აზრისა ვიყავი.

**ედვ.** ჰო, მაგრამ ჩვენ მაინც რა? ჩვენთან ხომ არ მოდის.

**გინა.** დაიცა, მე ჩავალ ძირსა და მოველაპარაკები.

**ეკდ.** (ხალათში და ტუფლებით, შემოდის თავისს ოთახიდან, ჩიბუხსა სწევს). იცი, ჰიალმარ... ჰიალმარი აქ არ არის?

**გინა.** არა, მგონი წავიდა.

**ეკდ.** ესე ადრე? და ამისთანა საშინელ ქარში? ჰმ... რა ვუყოთ... ამ დილით მარტოკა დავათვალიერებ, (კარებს გასწევს. ედვიგი შველის და მერე კარს უხურავს).

**ედვ.** რა ეშველება საწყალ პაპას, დედა, როცა გაიგებს, რომ მამას ჩვენი თავის დანებება უნდა.

**გინა.** გეყოფა სისულელის სროლა! პაპამ ეგ არ უნდა იცოდეს... მადლობა ღმერთსა, რომ წუხელ ეგ აქ არ იყო, როცა ის აქ ვაი-ვაგლახობდა.

**ედვ.** ჰო, მაგრამ... (ტალანიდან გრეგერსი შემოდის).

**გრეგ.** რა? მიაგენით იმის კვალსა?

**გინა.** სთქვეს, რელლინგთან არისო.

**გრეგ.** რელლინგთან? მაშ ის მართალია იმ ბატონებთან ეხეტებოდა.

**გინა.** ყოველს ექვს გარეშეა.

**გრეგ.** არა... იმათთან წავიდა, როდესაც მისთვის ისე საჭირო იყო გამარტოვება, რომ აზრები მოეკრიფა...

**გინა.** ჰო, როგორც გინდათ, სთქვით. (შემოდის რელლინგი).

**ედვ.** (მიდის იმისკენ). მამა თქვენსაა?

**გინა.** (მიდის იმისკენ). ჰიალმარი თქვენსაა?

**რელ.** დიაღ, მაგას რაღა კითხვა უნდა.

**ედვ.** მერე, არ შეგეძლოთ შეგვეტყობინებინათ!..

**რელ.** ჰო, მე—მხეცი ვარ. მხოლოდ, პირველი ისა, რომ მეორე მხეცთან ტრიალს მოვუნდი, რასაკვირველია იმ დემონიურ ბუნებოვანი, და მეორეც ისა, რომ მეც ძილი მომერია.

**გინა.** ეკდალი დღეს რას ამბობს?

**რელ.** არაფერს.

**ედვ.** არაფერსა?

**რელ.** ხმას არ იღებს!

**გრეგ.** მე იმისი სულის მდგომარეობა კარგად მესმის.

**გინა.** მაშ რას აკეთებს?

**რელ.** დივანზედ წევს და ხვრინავს.

**გინა.** აი რა?!.. ჰო, ეკდალმა ძალიან ხვრინვა იცის.

**ედვ.** სძინავს? განა იმას ეხლა ძილი შეუძლიან?

**რელ.** ეტყობა, რომ შესძლებია.

**გრეგ.** ეს ასეც უნდა იყოს... იმ სულიერი ბრძოლის შემდეგ, რაც იმან გამოიარა..,

**გინა.** და არც ღამე ხეტიალს არის დაჩვეული.

**ედვ.** იქნებ ეს უკეთესიც იყოს, დედა, რომა სძინავს...

**გინა.** ჰო, მეც ეგრე ვფიქრობ. არც საჭიროა, რომ ჩქარა გამოვაღვიძოთ. გმადლობთ, ბ. რელლინგ. აბა, ეხლა კი ყველაზე ადრე უნდა დავგავო და დავალაგო ოთახი, მერე კი.—მიშველე ერთი ედვიგ. (გინა და ედვიგი გავლენ საძილო ოთახში).

**გრეგ.** (რელლინგს). შეგიძლიანთ ამიხსნათ, რა ხდება ეხლ ჰიალმარ ეკდალის გულში?

**რელ.** ღმერთსა ვფიცავ, ჩემის აზრით იქ არაფერიც არა ხდება რა.

**გრეგ.** როგორ? ამისთანა დიად წუთს, როცა მთლად მისი ცხოვრება უნდა გადაგვარდეს... ნუ თუ თქვენა ფიქრობთ, ისეთი პირი, როგორც ჰიალმარია...

**რელ.** ისეთი პირი? თუ მასში იყო ოდესმე რამე ნასახი მაგისთანა ექსტრავაგანტობისა, რომელსაც თქვენ მისს პირადობას ეძახით, ეს დიდიხანია რაც მასში ყმაწვილობისასვე ამოჰკრა. შემიძლიან დაგარწმუნოთ...

**გრეგ.** საკვირველია: იმ აღზრდისა და სიყვარულის შემდეგ, რომელიც მას ირგვლივ ეხვია...

**რელ.** თქვენ იმის მამიდებზედ ამბობთ? იმ ბებერ სულელ ისტერიკიან ქალწულზედ?

**გრეგ.** მე მინდა მხოლოდ ვსთქვა, რომ ის ქალები არასოდეს არ ივიწყებდნენ იდეალურ მოთხოვნილებათ... თქვენ, რასაკვირველია, კვლავ მხოლოდ გაიცინებთ.

**რელ.** არა, ეხლა სიცილის გუნებაზე არა ვარ. თუმცა მაგის შესახებ ბევრი რამ გამიგონია: ბევრი სენსაციები წამოაყრანტალა იმან თავისი ორი სულიერი დედების რეპერტუარიდგან. მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიანაც არ უნდა უმადლოდეს იმათ. ეკდალის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თავისს წრეში ის ყოველთვის რაღაც ბრწყინვალე ნიჭად ჰყავნდათ წარმოდგენილი.

**გრეგ.** მერე თქვენი აზრით ის ეგრეთი არ არის? აქ მის სულიერ სიღრმეზედ ვლაპარაკობ.

**რელ.** როგორადაც მაგისთანა არაფერი შემიმჩნევია. და, კიდევ იმის მამასა სწამდეს ეგა არა უშავს რა, მოხუცი ლეიტენანტი მთელს თავის სიცოცხლეში სულელი იყო.

**გრეგ.** მოხუცი ლეიტენანტი მთელს თავისს სიცოცხლეში ბავშვივით მიმნდობი ხასიათისა იყო... თქვენ ეს, რასაკვირველია, არ გესმით.

**რელ.** აბა, რასაკვირველია. მერე ჰიალმარი სტუდენტი გახდა და მაშინვე თავისს ამხანაგებში ბრწყინვალე ნიჭად გამოჩნდა. ის იყო ლამაზი, მიმზიდველი სახისა, თეთრ-წითელი—როგორიც, იცით, უფრო მოსწონთ ახლად შეღერებულ ქალებს. მერე ეს მისი ბუნების მსწრაფი მგზნები ხასიათი, მგრძნობიერი კილო და სხვების ლექსებისა და აზრების ლამაზად გამოთქმა...

**გრეგ.** (კაბრაზებით). მერე თქვენ მაგას ამბობთ ჰიალმარ ეკდალზედ?

**რელ.** დიაღ, თქვენის ნებართვით, იმიტომ რომ მართლაც ეგრეთია ის გენიოსი, რომელსაც თქვენ თაყვანსა სცემთ.

* იხ. „სახ. გაზ.“ № 678.

დღეს დღეობით კი ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ. ჩვენი ცხოვრება იმას აღარა ჰგავს, როგორიც წინეთ იყო. ერი და თვისი ინტელიგენცია უკვე შეუდგა საკუთარს კულტურის გზის ძიებას, მისი სულიერი მოთხოვნილება და ეთიკური ლტოლვილება უკვე მოითხოვენ ეროვნულ-ფორმებში ჩამოსხმას. და თეატრიც, როგორადაც ერის ტაძარი, უნდა იყვეს მისი სულის კვეთებისა და ბრძოლის გამომხატველი.

ამის და მიხედვით, ჩვენში შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ ორგვარი ტიპის თეატრი. იგი უნდა იყვეს ან ინტელიგენტთა თეატრი, მისი სულიერი სარკე, როგორიც არის, მაგ., გეორგი ფუქსის სამხატვრო თეატრი მიუნხენში, მოსკოვის სამხ. თეატრი, ან თეატრი მასსობრივი, საერთო ხალხური, ერთგვარი მათი რელიგიოზური, ტაძარი, როგორიც მაგ. მაქს რეინგარდის თეატრია.

ახლა საკითხი მხოლოდ იმაშია, შეიძლება ჩვენი თეატრი გადაიქცეს ერთ-ერთ ზემოდ მოხსენებულ ტიპის თეატრად ე. ი. ქართულ სამხატვრო თეატრად? ან და აღზარდოს ისეთი ახალგაზდობა, რომელსაც შეეძლოს ახალ თეატრის შექმნა და მისი გაძღოლა?

მე ჰირ და ჰირ ვამობ, რომ არა და არა. აი რატომ.

დიდად შემცდარია ის აზრი, ვითომ თეატრს საზოგადოდ და ჩვენსას კერძოდ შეეძლოს ქართულ დრამატიულ და სიტყვა-კაზმულ მწერლობის წარმოშობა. პირიქით, დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია ის აქსიომა, რომ ლიტერატურა-დრამა ჰქმნის თეატრს და არა წინააღმდეგ. მაგ. ჩეხოვის დრამებმა დაბადა მოსკოვის სამხ. თეატრი, იბსენისამ ნორვეგიის თეატრი, ფუქსისამ მიუნხენისა და სხვ. ასევე იქნება ჩვენშიაც. ახალმა ქართულმა დრამამ უნდა შეჰქმნას ახალი ქართული სამხატვრო თეატრი. სამაგიეროდ ახალი დრამა თეატრი მოითხოვს თავისებურ რიტმას ფრაზეოლოგიას, ინტონაციას, საკუთარ რიგს და მასთანვე სრულიად ახალ ბუნების მსახიობს. უკანასკნელი კი უნდა აღიზარდოს სულ სხვაგვარ, უეჭველად ჩვენი ეროვნების ეთიკურ-მხატვრულ კონცეპციის შემოქმედობით.

ყველა ამის წარმოშობა კი ჩვენს თეატრს არ შეუძლიან, სწორედ იმ მიზეზთა გამო, რომელნიც ზევით დავასახელე, ე. ი. რადგანაც იგი სულ სხვა ბუნების და ტიპის თეატრია.

აგრეთვე ყოვლად შეუძლებელია შეჰქმნას ქართული სამხატვრო თეატრი თუ გინდა იმ დრამატიულმა კურსებმა, რომელიც გამგეობის გადაწყვეტილებით ახლო მომავალში უნდა დაარსდეს. ასე დარწმუნებით ვამობ ამას იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია, რა გზით უნდა აღიზარდოს ახალგაზდა მსახიობნი იქ, სადაც სრულიად გამოურკვეველია თეატრალურ პედაგოგიის პრინციპები. ამ პრინციპების და თვით მსახიობის ჩამოყალიბება შეუძლიან მხოლოდ ისევე თეატრს, როდესაც იგი იღებს საკუთარ გარკვეულს სახეს, რადგან აქსიომაა, რომ თეატრი ჰქმნის სკოლას და არა წინააღმდეგ. მაგ. მოსკოვის სამხატვრო თეატრმა შეჰქმნა სკოლა და არა სკოლამ სამხატვრო თეატრი; ასევე იქცევა გეორგი ფუქსიც მიუნჰენში. ძველმა სცენამ ჩვენშიაც შეჰქმნა თავის სკოლა და აღზარდა ახალგაზდობა.

უეჭველია მომავალ დრამატიულ კურსებზედ ისევე ჩვენი ძველი მსახიობნი იქნებიან აღმზრდელნი, მასწავლებელნი და ეს სასწავლებელიც სწორედ იმასვე მოქვცემს, რასაც არც ეხლა გვაკლებს არსებული სცენა.

ჩემის აზრით ქართული სამხატვრო თეატრი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ერთის გზით. ამისთვის დაუყონებლივ უნდა დაარსდეს სრულიად ახალი დასი ახალგაზდა მსახიობთა, რომელსაც სათავეში ჩაუდგება მთელი ჯგუფი რეჟისსორებისა და დრამატურგებისა. მათი მუშაობა უნდა უეჭველად მხოლოდ ქართულ დრამის გარშემო ტრიალებდეს. მასთანვე მთელი წლის განმავლობაში სამი ან 4 დრამის მეტი არ უნდა შეისწავლონ, რადგან თვითეულ ახალ დრამისთვის მათ ყოველთვის მთელი სკოლა უნდა შეჰქმნან და განახორციელონ. ყოველივე როლის შესწავლა და განმარტება უნდა იყვეს ნაყოფი მრავალ მხრივი ეთიკურ-მხატვრულ კვლევისა. რადგან აუცილებლივ აგრეთვე საჭიროა ლიტერატურული განხილვა ყოველივე დრამისა. ამისათვის მსახიობთ უნდა ეკითხებოდეს მთელი რიგი ლექციებისა.

ეხლანდელი თეატრი შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ახალ სამხატვრო თეატრად კი ვერ გადაიქცევა. სამხატვრო თეატრის შესაქმნელად სულ სხვა ძალა უნდა ამოძრავდეს.

**ალექსანდრე ახმეტელი.**

# მოგზაურობა სოფლად

(გაგრძელება *)

არის მხოლოდ პატარა ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელსაც არ დაივიწყებია თვისი ზნეობრივი მოვალეობა და შეძლებისა დაგვარად ემსახურება სახალხო საქმეს წარმოდგენების მართვით თუ სხვა რამით, ამ ჯგუფს საკმაო შრომა დაუხარჯავს, რომ თეატრი გაემშვენიერებინა, გაელამაზებინა სცენა, შეეძინა დეკორაციები. კი ნუ ეწყინება ამ ჯგუფს და უნდა მოვახსენო, რომ შრომა ამაოდ დაუხარჯავს ამოდენა შენობაზე. უმჯობესი არ იქმნებოდა უფრო მომცრო ქვითკირის შენობა აეგოთ, სადაც შეიძლებოდა წარმოდგენების მართვა თუ სხვა რამ ზამთრობითაც? სულ ერთია აქ წარმოგენების მართვა უმნიშვნელოა, ას სიტყვაში უკან ერთი არ ისმის, რადა? თქვენ ხომ უფრო კარგად მიხვდებით? ამას გარდა შენობა მთლად ფიცრულისაა. ვინ არის თავმდები იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცეცხლის ულმობელ სტიქიონის მსხვერპლი არ შეიქნება და მასზე დახარჯული ზღვა ფული ამაოდ არ ჩაივლის?.. ეტყობა თავდაპირველად საქმეს რიგიანი დამწყობი არა ჰყოლია.

30 აგვისტოს ამ თეატრში დანიშნული იყო წარმოდგენა ცეკვა-სიმღერითურთ. თეატრისავე სასარგებლოდ, უკანასკნელი ბილეთი ათი შაური ღირდა (ნუთუ ყოველდროს ასეა?) ჩვენ, როგორც ექსკურსანტებს, ბილეთი თითო აბაზად დაგვითმეს, სამაგიეროდ ისეთი ალაგი მიგვიჩინეს, რომ თავბედი ვიწყევლეთ. რად, ახლავე მოგახსენებთ, ბილეთების სიძვირისა გამო ხელმოკლე ხალხი, რასაკვირველია, გარედ დარჩა. და აი-წარმოდგენაზე დასწრების სურვილმა აბობოქრა დემოკრატია და იერიში მიიტანა უკნიდან, სადაც ჩვენ ვიყავით მიკუნჭული. გაისმა ჰახა-ჰუხი, ჟრიამული. ცოტა არ იყვეს შევფიქრიანდით. „დემონსტრანტები“ პოლიციით მოიგერიეს.

პირველად ითამაშეს ერთ მოქმედებიანი რუსული დრამა, სწორედ მოგახსენოთ ჩვენთვის, არა თუ ჩვენთვის, მეტი წილისთვის იგი პანტომიმა იყო. ვხედავდით სცენაზე ხალხი დაიარებოდა, ვხედავდით ხელებს აქნევდნენ, თავებს აკანტურებდნენ, მაგრამ რას ამბობდნენ, ამის მოწამე სცენის კედლები და პარტერის ხუთიოდე მსმენელი. ზედ მოჰყვა ქართული „ჯერ დაიხოცნენ, მერმე იქორწილეს“. აქაც არაფერი ისმოდა, მადლობა ისევ მსახიობს ელენე ჩერქეზიშვილს, რომ იმოდენას ყვიროდა და თავის მოხდენილი, მკვირცხლი თამაშით გამოაცოცხლა საზოგადოება. წარმოდგენას მოჰყვა პატარა ქალების ბალეტი მ. უზნაძის ხელმძღვანელობით, შემდეგ მოლოროსიული სიმღერა „ოი ხოდილა დივჩინა ბერეჟკომ“ და „კაძარინსკი“.., საინტერესოა ვიცოდეთ წარმოდგენა-კონცერტ-ცეკვის გამმართველნი მალოროსიაში გრძნობდნენ თავს თუ ქართლის შუა გულში? ნუ თუ ინიციატორთა შორის ერთი ქართველი მაინც არ ერია, რომ პროგრამაში ერთი ქართული სიმღერა, ლექსი თუ სხვა რამ შეეტანა? მაგრამ... თუ ერივნენ კიდეც, ისეთივე ქართველები იქმნებიან, როგორიც წარწერა იყო თეატრის შესავალთან დიდს პროგრამაზე-ქართულად იქმნება „ჯერ დაიხოცნენ, მერმე **იკორწილეს**“ კორექტურული შეცდომა არ გეგონოთ-ხელით იყო ფრიად მსხვილად ნაწერი. როგორც გადმომცეს აქ ერთი „კარტველი კალი“-ც რეულა და უეჭველია იმის კალმის წვერის ნაწარმოები იქმნება ესა.

თეატრის დიდი ნაკლია ისიც, რომ კლუბი „პარტერის“ გვერდითაა გამართული და იმ დროს, როცა სცენაზე თამაშობენ, აქ ბანქოს თამაში და ღვინის სმაა გაჩაღებული.—ღვინო, ღვინო!!—მესტნოე ილი კახეტინსკოე?? გესმით ხშირად „მშვენიერი არსების“ ხმა.

ნეტავი სად ნახეს, ვისგან გადმოიღეს ეს ცხინვალელებმა??.

წარმოდგენა უდავიდარაბოდ არ არ გათავდა. სიმღერის შემდეგ „პარტერში“ ასტყდა კრივი, ამას მოჰყვა თოფის სროლა გარედან. გაისმა წივილ-კივილი, „მამას“-ს ძახილი, დაიწყო გულის-წასვლა... ამ „განყოფილებაში“ თავი ისახელა ერთმა მამასახლისმა, ერთმა მოწაფემ და ერთმაც სამრევლო სკოლის მასწავლებელმა (რასაკვირველია თავის შეგირდებს კარგად გაწრთვნის კრივში!!) ნუ თუ ცხინვალის საზოგადოებას იმდენი არ შეუძლიან რომ ალაგმოს ამ ვაჟბატონთა აღვირაშვებულობა? ეს პირველი არ არის თურმე, აღელვებული გული ცხინვალელებმა მუსიკითა და ზურნით დაიმშვიდეს და დილამდე ცეკვა-თამაში არ შეწყვეტილა. (ხმა დადის, რაკი სამხედრო მუსიკა იყო გორიდან მოწვეული, ცხინვალელებმა მეტად იხარბესო!!.)

ცხინვალში მასპინძლობა გაგვიწია პატივცემულმა ბლაღ. მღვდ. იროდიონ ოქროპირიძემ და მისვე ოჯახის მეოხებით განემზადებინათ ჩვენთვის საწოლი სკოლის შენობაში.

(დასასრული იქნება)

**სანგანიძე.**

*) იხ. „სახ გაზ.“ № 682.

# როგორი იქნება რუსეთ-გერმანიის ომი?

ფრანგულ გაზეთ „Le Journal“ დაბეჭდილია მეტად საინტერესო წერილი ლუი ნოდოსი, რომელიც თან ახლდა საფრანგეთის პრემიერ მინისტრს რუსეთში მოგზაურობის დროს ამ ზაფხულზე.

„ჩვენთან ბაასის დროს—სწერს ნოდო—გენერალმა სუხომლინოვმა (რუსეთის სამხედრო მინისტრია) სთქვა: ყველა, ვინც კი ამცირებს ჩვენს სამხედრო ძალას, ვინც ჰფიქრობს, რომ ჩვენ წინდაწინვე უკან-უკან სვლა გვიწერია—მსხვერპლი გამხდარა უბრალო ოპტიური თავ-მოტყუებისა.

მე—განაგრძობს ხსენებული ჟურნალისტი—რუსეთში ყოფნის დროს ბევრს სხვა და სხვა ხარისხის აფიცერთან მისაუბრია. წინამდებარე წერილი სრულ,ებით ობიექტიურია და თან რეზიუმეა იმ ბაასისა, რომელიც ხშირად მქონდა რუსის მხედართმთავრებთან.

რუსეთის ძველი სამხედრო გეგმით პოლონეთი რუსის ჯარის ნამდვილი ბანაკი იყო; მრავალ-რიცხოვან ცხენოსანთა გარდა, რომელნიც შეჯგუფული იყვნენ ვლოცლავსკთან და გერმანიის საზღვარს ემუქრებოდნენ, ვისლის ორივე ნაპირზე რუსეთს ჰყავდა გაძლიერებული შემადგენლობის სალაშქრო კორპუსები. პოლონეთში რუსის ჯარის ასეთი შეჯგუფება მეტად საშიში იყო გერმანიისთვის. რუსეთის თითქმის მთელი ჯარი არხანგელსკ-მოსკოვ-სევასტოპოლის ჯაჭვის დასავლეთით იყო გამწკრივებული, განსაკუთრებულად სქლად კი პოლონეთში; წინააღმდეგ, უმეტესი ნაწილი სათადარიგო მხედრობისა ამ ჯაჭვის აღმოსავლეთის მხრიდან უნდა მოსულიყო.

შეეძლო თუ არა პოლონეთში დაბანაკებულ ჯარს სათადარიგო ლაშქრის მოუცდელად საომრად გალაშქრება?

ამ საკითხის შესწავლამ რუსეთის გენერალური შტაბი შემდეგს დასკვნამდე მიიყვანა: გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში მობილიზაცია უფრო ჩქარა ხდება, ვიდრე რუსეთში (სივრცისა და რკინის გზების წყალობით) და ამიტომ მოსალოდნელი იყო დაუყონებლივი შეგროვება გერმანიის ჯარისა კენიგსბერგთან, ხოლო ავსტრიისა კი—ლვოვთან. პოლონეთს ბუნებრივი სიმაგრეები არ აქვს, მეორე მხრით კი რუსეთის ფლოტი იმდენად ძლიერი ვერაა, რომ ბალტიის ზღვაზე უზრუნველჰყოს ბატონობა, ასე რომ გერმანიას სულ მოკლე ხნის განმავლობაში შეუძლია ზღვით კენიგსბერგთან ჯარისა და სურსათის მოგროვება. რუსეთის მხედრობას დიდი საფრთხე მოელის ორივე მტრის შეერთებული, რიცხვით ჯარ მი ჯარისაგან. იმ დროს, სანამ რუსეთის სათადარიგოები დასავლეთამდე მიაღწევდნენ, ვარშავისა და ბრესტ-ლიტოვსკის,მიდამოებში შესაძლო იყო დიდი უბედურება მომხდარიყო. რუსეთის გენერალურმა შტაბმა უარჰყო პოლონეთში ჯარის შეჯგუფების ტაქტიკა; დღეს იქ მხოლოდ მსროლელთა ბატალიონებით გაძლიერებული, ცხენოსანთა ცხრა დივიზია სდგას; ვისლის მარცხენა ნაპირზე ქვეითი ჯარის არც ერთი დივიზია არაა. ორი კორპუსი, რომელიც ვილნოს, ბელოსტოკის მიდამოებში იყო დაბანაკებული, ამჟამად მოსკოვ-კურსკის ჯაჭვის აღმოსავლეთით გადაიყვანეს. ამრიგად შეცვლილია საფრანგეთის მობილიზაციის სისტემა. პოლკები ჯერ სათადარიგო ჯარის-კაცებით შეივსება და მხოლოდ შემდეგ დაიძვრის საზღვრებისაკენ.

ამგვარად, თუ რუსეთის პოლკები საზღვარს დაშორებულია, სამაგიეროდ თავის სათადარიგოებთან ძლიერ დაახლოვებულია. აი ის „ოპტიური თავისუფლება“, რომელიც რუსეთის სამხედრო მინისტრმა მოიხსენია.

რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია რუსეთს, ომის დროს, სამხედრო ჰოქმედებათა დაწყება?

მისი ცხენოსანი მოწინავე ჯარი პოლონეთში ომისთვის მუდამ მზადაა, ციხეებიც გამაგრებულია. რაც შეეხება ჯარის უმთავრეს მასას—იგი დამოკიდებულია შეჯგუფების სიჩქარეზე. ოპტიმისტებს საკმაოდ მიაჩნიათ ათი დღე შემდეგ მობილიზაციისა, პესიმისტებს კი- ოცი დღე. მე კი მგონია, რომ 16 დღე საშუალო რიცხვია, სრულებით საკმაო.

იაპონიის ომის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ კარგად გაწრთვნილისა და შეიარაღებული ქვეითი ჯარის წინააღმდეგ ცხენოსანი სრულიად უძლურია. თუმცა რუსეთის ლაშქარი მხოლოდ მე-16 დღეს იქნება მზად, სამაგიეროდ არ უნდა გვავიწყდებოდეს, თუ რამდენს მტკიცე ბატალიონებს გამოიყვანს იგი საომრად. საფრთხის თავიდან ასაცილებლად გერმანიამ სულ მცირე, 4 კორპუსი მაინც უნდა შეაგროვოს პოზნანსა და კენისბერგს შუა.

რუსეთის გენერლები ძლიერ სკეპტიკურად უყურებენ იმ მოსაზრებას, თითქოს გერმანიას შეეძლოს ერთის დაკვრით მოსპოს საფრანგეთის ჯარი და მერე რუსეთს მოუბრუნდეს. გარდა იმისა, რომ ამ მოსაზრების ავტორნი ძლიერ მცირე მნიშვნელობას აძლევენ საფრანგეთის ჯარს, გერმანიას ერთ წუთსაც არ შეუძლია აღმოსავლეთის საზღვრების, გაშიშვლება: რუსეთის საზღვრებიდან საფრანგეთისაკენ ჯარის გადაყვანა იმ ფიქრით, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში დაამარცხებს დასავლეთის მხრის მტერს და შემდეგ აღმოსავლეთისას დაუტრიალდება, ცხადი აბსურდია.

შემდეგ ლუი ნოდო ითვალისწინებს ინგლისისა და ავსტრიის შესაძლო მონაწილეობას ევროპის დიდს ომში რუსეთ-საფრანგეთსა და გერმანიას შორის და ასე დაასკვნის: მე არ ვქადაგობ ბრმა ოპტიმიზმს და

---

**გრეგ.** არა მგონი რომ მე მაგდენად ბრმა ვიყო.

**რელ.** ოჰ, როგორ არა, ეგ ცოდვა თქვენ გჭირთ. თქვენც ხომ ავადმყოფი, არანორმალური ადამიანი ხართ.

**გრეგ.** ჰო, თქვენ მართალს ამბობთ.

**რელ.** თქვენი რთული ავად-მყოფობა გაქვთ: ჯერ ერთი, პატიოსნობის ციებ-ცხელება და მერე, რაც უფრო ცუდია, ვისიმე თაყვანისცემით ბოდვა. თქვენ აუცილებლად ყოველთვის ვისთანმე ფათურობთ, თქვენ საკუთარი საქმეების გარდა.

**გრეგ.** მაშ ჩემს საქმეებში ხომ არ ვეძებ ამას.

**რელ.** და თქვენ ყოველთვის სასტიკადა სცდებით ყოველ ამ თქვენს არაჩვეულებრივ ხალხში, რომელთაც თქვენ ყველგანა ხედავთ. ეხლაც თქვენი იდეალური მოთხოვნილებებით თქვენ მოხვდით ჩვეულებრივ მომაკვდავთა ოჯახში. ამათ კი არ შეუძლიანთ მაგ თქვენ საკითხებზედ პასუხის მოცემა.

**გრეგ.** თუ ამისთანა დაბალი აზრისა ხართ ჰიალმარ ეკდალზედ, მაშ რაღა სიამოვნებასა ჰპოვებთ ყოველთვის მასთან ყოფნით.

**რელ.** ოჰ, ღმერთო ჩემო! მე ხომ ექიმი ვარ და ნება-უნებურად უნდა ვიზრუნო იმ უბედურ ავადმყოფებზედ, რომელთანაც ერთს ჭერს ქვეშა ვსცხოვრობ,

**გრეგ.** აბა, რაებს ამბობთ! ჰიალმარ ეკდალი თქვენი აზრით ავადმყოფია?

**რელ.** სამწუხაროდ, თითქმის ყველა ადამიანი ავადმყოფია.

**გრეგ.** რითი სწამლობთ ჰიალმარსა?

**რელ.** მითი, რითაც სხვებს, ვცდილობ მისი ცხოვრების სიცრუე არ წავნელდეს.

**გრეგ.** ცხოვრების სიცრუე? ალბად მე სწორედ ვერ გავიგონე.

**რელ.** დიაღ, მე ვთქვი „ცხოვრების სიცრუე“. ცხოვრების სიცრუე ეს იცით დიადი გამამხნევებელი საშუალებაა.

**გრეგ.** შეიძლება გკითხოთ, ცხოვრების რომელ სიცრუეში გახვიეთ ჰიალმარი?

**რელ.** ოჰ, არა, უკაცრავად. კაცობრიობის თქვენისთანა მკურნალებს ამისთანა საიდუმლოებს არ ვახდობ. თქვენ ხომ მაშინ შეიძლებდით მისს უფრო მეტად დამახინჯებას. წამლობის წესი სწორეა. მოლივიკსაც იმავნაირად ვარჩენ: ის გარდავაქციე დემონიურ ბუნებად, ხელოვნურად ვამყნე.

**გრეგ.** მაშ ის ნამდვილად არ არის დემონიური ბუნების ადამიანი?

**რელ.** ეშმაკმა იცის რასა ნიშნავს დემონიური ბუნება? სისულელეა, რომელიც გამოვიგონე, რომ მას უფრო ადვილად ეცხოვრა ქვეყნად. უამისოდ ის პატიოსანი ღორი დიდი ხანია დაიღუპებოდა თავისი თავის ზიზღის ტვირთის ქვეშ. შემდეგ მოხუცი ლეიტენანტი თუმცა იმან თითონ იპოვა თავისი ნამდვილი წამალი.

**გრეგ.** ლეიტენანტი ეკდალი? იმას რაღა?

**რელ.** აბა, რას იტყვით თქვენ იმ ადამიანზედ, რომელიც ოდესმე დათვებზედ ნადირობდა და ეხლა კი ბანზედ, ჩარდახში დადის და ბაჭიებზედ ნადირობს, ქვეყნად ხომ მაგაზედ ბედნიერი მონადირე აღარ არის იმ დროს, როცა ის იქა ფათურობს ხუთი-ექვსი გამხმარი ნაძვის ხე, რომელიც თითონვე შეუნახია იქა, დიდი ტყის მაგიერობას უწევს. ქათმები იმისა ჰგონია ცაცხვის კენწეროებზედ მჯდომი კაკბები და ბაჭიები ვეებერთელა დათვებად მიაჩნია, და იმათ ებრძვის ყოფილი ნემვროდი, და ეს არის გულადი, თავისუფლობაში აღზრდილი კაცი.

**გრეგ.** ჰო, საწყალ მოხუცს ლეიტენანტ ეკდალს მოუხდა უარ ეყო იდეალები,

**რელ.** ამასთანავე, ბ. ვერლე უნცროსო, ნუ ხმარობთ უცხო ქვეყნის სიტყვებს „იდეალს“. ჩვენ მშვენიერი სიტყვა გვაქვს „სიცრუე“.

**გრეგ.** თქვენი აზრით ეგ ერთია?

**რელ.** თითქმის ისევე, როგორც სოფლე და დამპალი ციება,

**გრეგ.** მე, ბ. ექიმო, არ მოვისვენებ, სანამ ხელიდგან არ გამოგაცლი ჰიალმარს,

**რელ.** ყველაზედ ცუდი ეგ იმისთვისვე იქმნება. სცადეთ საშუალო ადამიანს წაართვათ სიცრუე მისი ცხოვრებისა და თქვენ მასთან ერთად იმას წართმევთ ბედნიერებასაც. (ედვიგს, რომელიც სადილო ოთახიდგან გამოდის) აბა, პატარა იხვის დედავ, მე ეხლა ძირს ჩავალ და ვნახავ, კვლავ როგორ განისვენებს მამათქვენი და თავისს შესანიშნავ გამოგონებაზედ თავს იმტვრევს. (გადის).

**გრეგ.** (ედვიგთან მიდის). მე ვხედავ, რომ თქვენ ჯერ არ აგისრულებიათ...

**ედვ.** რა? ჰო, გარეული იხვის შესახებ? არა!

**გრეგ.** თქვენ ის ვეღარ გამეტეთ საქმე რომ ასრულებაზედ მიდგა, არა?

**ედვ.** არა, მაგრამ დღეს დილით რომ გამეღვიძა, მოვიგონე, რასაც ჩვენ წუხელის ვლაპარაკობდით, და ისეთ რაღაც უცხოდ, არა ჩვეულებრივად მეჩვენა...

**გრეგ.** უცხოდ?

**ედვ.** ჰო, მე თითონ არ ვიცი, რად. წუხელის რაღაც კარგი მეგონა, მაგლამ დღეს კი რომ გამეღვიძა და დავიწყე კიდევ იმაზედ ფიქრი, ვიგრძენი, რომ იმაში იმისთანა არაფერია.

**გრეგ.** ჰო, რასაკვირველია. თქვენ აღიზარდეთ აქ და რამეში მაინც უნდა გამოიხატებოდეს ესა.

**ედვ.** მე იხვი არ მენანება, ოღონდ კი მამა დაბრუნდეს.

**გრეგ.** ოჰ, თქვენ რომ თვალები აგეხილოთ და გაიგოთ, თუ ნამდვილს ცხოვრებას რა აძლევს აზრსა, თქვენ რომ გქონდეთ ნამდვილი, სადი, გულადი სული, რომელიც არავითარ მსხვერპლს არ შეუშინდება, დაინახავდით, როგორი გარდაქმნილი, გამოცვლილი დაბრუნდებოდა ჰიალმარი თქვენთან. მაგრამ მე მაინცა მრწამს თქვენი. (გადის. ედვიგი დადის ოთახში. მერე სამზარეულოში აპირობს შესვლას. ამ დროს ფარდულიდან კარების ბრახუნი ისმის. ედვიგი კარებს აღებს. მოხუცი ეკდალი გამოდის და კარებსა ჰკეტავს).

**ეკდ.** დილით მარტოკინას დათვალიერება სასიამოვნო არა ყოფილა.

**ედვ.** სანადიროდ ხომ არ წახვალ, პაპა?

**ეკდ.** დღეს რა ნადირობა შეიძლება, ამისთანა სიბნელეში. იქ ისე ბნელა, რომ ადამიანი თავისს ცხვირს იქით ვერას დაინახავს.

**ედვ.** პაპა, ხანდისხან ჟინი არ მოგივლის ხოლმე ბაჭიების გარდა სხვაც რამ მოჰკლო?

**ეკდ.** განა ბაჭიებს რა უშავთ? რითი არიან ისინი ცუდნი?

**ედვ.** მე ხომ არც არაფერი მითქვამს, მაგრამ გარეული იხვი, მაგალითად?

**ეკდ.** ხა—ხა—ხა! ეშინიან, ამისი იხვი არ მოვკლა. არასოდეს! არა, რას ამბობ, არასოდეს!

**ედვ.** მაგას ვერ შეიძლებდი, გარეული იხვის მოკვლა ძნელია!

**ეკდ.** ვერ შევიძლებდი? შემიძლიან წარმოვიდგინო!

**ედვ.** მაშ აბა როგორ ესროდი, პაპა? ესე იგი ჩემს იხვს კი არა, სხვა იხვსა.

**ეკდ.** მე დავუმიზნებდი გულ-ქვემოდ. უფრო ნამდვილია. რასაკვირველია უნდა ამასთანავე ფრთის ასწვრივ ესროლო და არა ფრთის დასწვრივ, გაიგე?

**ედვ.** მერე ის მოკვდება პაპა?

**ეკდ.** რასაკვირველია, მოკვდება, თუ კარგად მოარტყამ. აბა, ეხლა უნდა წავიდე, გავიერტყო ჰმ.. გაიგე? (გადის. ედვიგი ცოტა ხანს უცდის, თან ჩუმად იცქირება სადილო ოთახისკენ, შემდეგ მიდის წიგნების საწყობთან, თითის წვერებზე დგება, ჩამოიღებს ორლულიან დამბაჩას და შინჯავს. სადილო ოთახიდან ამ დროს გამოვა გინა ჩოქით და მტვრის საწმენდი ტილოთი. ედვიგი მსწრაფლად და შეუმჩნევლად დასდებს დამბაჩას თავისავე ადგილსავე).

**გინა.** მამაშენის რაღეებს ნურას ურევ.

**ედვ.** (ცოტა მოშორდება). მინდოდა, ცოტა დამელაგებინა.

**გინა.** ეჯობინება სამზარეულოში გახვიდე დ ყავას ყური უგდო, ცხლად იყოს. იმას ყავას ჩავუტან. (ედვიგი გავა. გინა სადილოსნოს ჰგვის. ცოტა ხნის შემდეგ ტალანის კარები ხელდა გაიღება და ჰიალმარ ეკდალი შემოიხედავს ოთახში. ის პალტოთია, უმლიაპოთ, პირ-დაუბანელი, თმა-აწეწილი. შეხედულობა გაუბედავი და მოქანცული აქვს. გინა ჩოთქით ხელში შეჩერდება და უცქერის). ახ, შენ ეკდალ? მაინც მოსვედი.

**ჰიალმ.** (ყრუ ხმით. შედის). მე მოვედი, რომ ეხლავე წავიდე.

**გინა.** ჰო, ჰო, გავიგე. ღმერთო ჩემო, რა სახე გძევს!

**ჰიალ.** რა ნაირი?

**გინა.** შენი ახალი ზამთრის პალტო სულ გაგიფუჭებია.

**ედვ.** (სამზარეულოს კარებში გამოჩნდება). დედა, შეიძლება... (ჰიალმარს შეამჩნევს, სიხარულით შეჰყვირებს და გაექანება იმისკენ). მამა, მამა!

**ჰიალ.** (მიბრუნდება და მოიშორებს) ნუ მომიახლოვდები, მომშორდი, ჩემთან ნუ მოხვალ! (გადის) დაკარგე ერთი სადმე და!

**გინა.** წადი სადილო ოთახში, ედვიგ! (ედვიგი ჩუმად გავა).

**ჰიალ.** (მოსაქმე კაცის სახით მაგიდას უჯრას გამოსწევს). ჩემი წიგნები მინდა წავიღო, სად არიან ჩემი წიგნები?

**გინა.** რა წიგნები?

**ჰიალ.** სამეცნიერო თხზულებანი და ტეხნიკური ჟურნალები, რომლებიც მჭირდება ჩემი გამოგონებისთვის.

**გინა.** (ეძებს წიგნების საწყობზე). აი ესენი, უყდოები?

**ჰიალ.** ჰო, რასაკვირველია, ეგენი.

**გინა.** (მაგიდაზე აწყობს რვეულების ბღუჯას). გინა ედვიგს ვეტყვი ამ წიგნების ფურცლები დასჭრის, თორემ სრულიად დაუჭრელია.

**ჰიალ.** თქვენი დაჭრა არ მესაჭიროება. (პატარა პაუზა).

**გინა.** მაშ არ გადაიფიქრე, ჩვენგან მაინც მიდიხარ, ეკდალ?

**ჰიალ.** (წიგნებში ფათურობს) რასაკვირველია, მამ რა ვუყო...

**გინა.** ჰო, ჰო...

**ჰიალ.** (მკაცრად) არ შემიძლიან დავრჩე აქა, რომ გული ყოველ წუთს ნაწილ-ნაწილად მწყდებოდეს.

**გინა.** ღმერთმა მოგიტეოს, ჰიალმარ, თუ შენ ეგრე ცუდადა ფიქრობ ჩემზე.

**ჰიალმ.** დამიმტკიცე.

**გინა.** მგონი, შენი ვალია დამტკიცება.

**ჰიალ.** შენი წარსული? არსებობენ ერთგვარი მოთხოვნილებანი, მე იმათ დავარქმევდი... იდეალურ მოთხოვნილებებს...

**გინა.** პაპა, მერე? იმ საწყალს რაღა ეშველება?

(შემდეგი იქნება)

**გ. ნამორაძე.**

კარგად ვიცი, რომ ბევრი ჩვენი გამოჩენილი სამხედრო ექსპერტი დიდად შეწუხებულია პოლონეთიდან რუსის ჯარის გაყვანით, ამიტომ საჭიროა რუსეთის ჯარის ახალი დისლოკაცია ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით იქმნას განხილული, უეჭველად მოკავშირეთა სარგებლობის თვალსაზრისით, რაც სრულიად საკმაო იქნება.

## სხვა და სხვა ამბავი

**ა. სუვორინის ანდერძი.**

გაზ. „რუსკოე სლოვოს“ მოჰყავს შინაარსი „ნოვოე ვრემია“-ს ცნობილი გამომცემლის ა. სუვორინის ანდერძისა.

სუვორინს ნაღდ ფულად დარჩენია ერთი მილიონი მანეთი და პაიბად ორ მილიონ ნახევარი- ამას გარდა უძრავი ქონება დარჩენია თეოდოსიაში, სოჭაში, ტულის გუბერნიაში და პეტერბურგში.

როგორც ფული ისე პაიები განაწილდება მის ნათესავთა და თანამოსამსახურეთა შორის.

არტისტ-ქალისთვის, რომელიც მას უვლიდა ავადმყოფობის დროს დაუტოვებია 20,000 მ. კამერდინერისთვის, რომელსაც 35 წელიწადი უმსახურია მასთან—10.000 მ. ვორონეჟის გუბერნიის სახალხო სკოლებისათვის—150.000 მ. „ნოვოე ვრემიას“ ასოთ-ამწყობებისთვის—150.000 მ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

24 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**ოსმალეთი, სერბია, ალბანეთი.**

**სტამბოლი.** არაბულ გაზეთის გამომცემელი, აბდულ-აზის ჩავიში, რომელიც ამას წინად დააპატიმრეს, რედაქციის გაჩხრეკის შემდეგ ეგვიპტის მთავრობას გადასცეს, რადგან ქედივის საწინააღმდეგო შეთქმულობაში მონაწილეობას აბრალებენ.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტელების ყრილობამ გადასწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

პრილეპეში სახელმწიფო დაწესებულებაში ერთი ყუმბარა იპოვნეს.

მიტროვიცაში ისა ბოლეტინაც თავისი მოხელე მოსამართლენი დაუნიშნავთ.

**უსკიუბი.** თუმცა პრიზრენისა, იპეკისა, პრიშტინისა და სენიცის სანჯაყებში დიდძალი ჯარია, ძალა მაინც ალბანელთა ხელშია. მოხელეებს ტერორით აშინებენ; საზოგადოება შიშსა და ბრძოლაშია.

**სალონიკი.** კოსოვოს მმართველი იუწყება, ალბანიასა და ძველ სერბიაში სრული არევ-დარევაა, ყველა თავის ოჯახობით უსკიუბს გარბისო. საალბანეთო კომისია ამბობს, მაშინ შევძლებთ სახელმწიფო ძალის აღდგენას, თუ ალბანეთის ყოველ მოთხოვნილებას ავასრულებთო და მივცემთ უფლებას თითონვე აირჩიონ მოხელენიო.

სერბიიდან სამხედრო ტრანსპორტი ჩამოვიდა. თუ ოსმალეთმა თავის საზღვარზე არ გაატარა სამხედრო მასალები, სერბია იძულებული იქნება საფრანგეთიდან რუსეთისა და ბულგარეთის გზით გაგზავნოსო.

**ბელგრადი.** ძველი სერბიიდან ყოველ დღე მოდის ხალხის აწიოკების ამბავი. ამ ამბებს ევროპა გულგრილად უყურებს, ხალხს კი ძალიან აღელვებს ოსმალთა მხეცობა და ომის გუნებაზე აყენებს.

ამბობენ, არნაუტელები დეჩანის მონასტერს დაესხნენ თავსა და გაძარცვესო.

**ჯარის ალლუმი.**

**სოფია.** მთავრობამ გამოაცხადა, ჩუმლის ციხესთან ჯარის დიდი ალლუმი გაიმართებაო. ალლუმს თვით ფერდინანდ მეფე უხელმძღვანელებს. მონაწილეობას მიიღებს ოთხი ქვეითა დივიზია, ერთი მხედართა და რამდენიმე სხვა დივიზიები. შეიძლება ჰაეროპლანებიც იყოს. დღეს უკვე დაიწყეს საამისოდ მზადება.

**ბერტჰოლდის წინადადების გამო.**

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“, მოიხსენიებს რა გრაფ ბერტჰოლდის წინადადებას, ამბობს: თუმცა ბერტჰოლდის წინადადებას საიდუმლო აზრი აქვს—წაართვას რუსეთს ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში პირველობა, მაგრამ გულდამშვიდებით უნდა მოველოდოთ ამ წინადადების შედეგსა, რადგან სულ უბრალო რამე შეუძლიან დიდი დავიდარაბა ასტეხოსო.

**ფრანგები მაროკოში.**

**რაბათი.** გენერალ ლიოტეს გადაუწყვეტია მარაკეშზე გაილაშქროს და უკვე დაუნიშნავს მანქენი წასასვლელ რაზმის უფროსად.

**ინგლისის სუფრაჟისტკები.**

**ლონდონი.** პოტესბარში, ლონდონს ახლო, ტელეგრაფის თოთხმეტი მავთული გადაუჭრიათ. სატელეგრაფო ბოძებზე გაკრულია ფურცლები—იმიტომ ჩავიდინეთ ესაო, რომ მთავრობა სუფრაჟისტკებს ცუდად ექცევაო.

**მაღაროების აფეთქება.**

**ბეთუნი.** მაღაროების აფეთქების დროს სულ დაღუპულა 60 კაცი, აქეთ-აქით ეძებენ და ჯერ ვერავინ აღმოუჩენიათ. მუშაობა შესწყვიტეს, მაღაროებში ახალ-ახალ აფეთქების ხმა ისმის.

**კონდუქტორის მოკვლა.**

**გენუა.** ტრამვაის ვაგონში სამი მგზავრი კონდუქტორს წაეჩხუბ და მოჰკლა. მკვლელები გაიქცნენ, პოლიციელები დაედევნენ და ერთი მოჰკლეს სროლის დროსა. ბოროტგამზრახველებმაც ორი პოლიციელი და სამი სტრაჟნიკი დასჭრეს. საღამოს ძლივს დაიჭირეს ბოროტ-გამზრახველნი. ხალხი მათ დახოცვასა ჰლამობდა.

**რუსეთის ელჩი და კაცურა.**

**ტოკიო.** რუსეთის ელჩს ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა თ-დ კაცურასთან. საპოლიტიკო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა ჩინეთის სამხრეთს დაწყებულ არეულობის გამო.

**რ უ ს ე თ ი**

**დაჭრილის გარდაცვალება.**

**პიატიგორსკი.** ამ დღეებში დაჭრილ ჟანდარმთა პოლკოვნიკი ლუპაკოვი გარდაიცვალა. მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

**გაფიცვის გათავება.**

**კოსტრომა.** გათავდა საკონომიო გაფიცვა 1100 მუშისა, რომელმაც სამ კვირას გასტანა. მუშათათვის მოთხოვნილებანი არ აუსრულებიათ.

**სამამულო ომის დღესასწაული.**

**პეტერბურგი.** სამამულო ომის დღესასწაულის გადასახდელად დიდის ამბით ემზადებიან.

**მოსკოვი.** რვა ათას ხუთასმა მოსწავლემ ბოროდინოსაკენ ექსკურსია გამართა. წვიმის მიუხედევლად მოსწავლენი მუსიკა-სიმღერით მიდიან. გზაში ოლქის მზრუნველმა სიტყვა წარმოსთქვა. კუტუზოვის ნასახლართან სერფუხოვის ეპისკოპოსმა პანაშვიდი გადაიხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბოროდინოს წავიდა.

## უცხოეთი

**ბალკანეთზე.**

ბალკანეთი მოულოდნელობის კერად გადაიქცა. მიუხედავად დიდსახელმწიფოთა ცდისა, ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვარზე კვლავ გრძელდება შეტაკება, რომელიც შესაძლებელია სახიფათოდ გადაიქცეს. ბულგარეთში კაჩანიკის ხოცვა-ჟლეტის გამო აღშფოთება არ წყნარდება და ომის სუნი ჰაერში ტრიალობს. სერბია კი კიდით-კიდემდე ღელავს და მთავრობისაგან მოითხოვს ომის გამოცხადებას. 19 აგვისტოს სერბიის სატახტო ქალაქს ბელგრადში თეატრის ძოღანზე მოხდა დიდი მიტინგი აფიცერთა და მოქალაქეთა. ტრიბუნა, საიდანაც ორატორები ლაპარაკობდნენ, მორთული იყო ეროვნულ დროშებითა და სასპორტო საზოგადოებათა ბაირაღებით. იყო ერთი საშინელი შავი დროშაც, რომელზედაც გამოხატული იყო თავის ქალა წარწერით: „სიკვდილი, ან თავისუფლება.“ მიტინგს თავჯდომარეობდა სამსახურს გარეშე მყოფი გენერალი ბოჟა იანკოვიჩი. ილაპარაკეს ძველ და ახალ-რადიკალთა წარმომადგენლებმა. ორატორები ცხადად ასწერდნენ თანამემამულეთა აუტანელს მდგომარეობას ოსმალეთში და მოუწოდებდნენ ხალხს ომისთვის მოსამზადებლად, რომ პირველი დაძახებისათანავე იარაღით შეებრძოლონ ბარბაროს ოსმალეთს, ძველ სერბიის განსათავისუფლებლად. ორატორთა სიტყვებს ჰფარავდა ხალხის ყიჟინა: „ძირს ოსმალეთი! ომი ოსმალეთს!“ მიტინგის დასასრულს გენერალმა იანკოვიჩმა წაიკითხა რეზოლუცია, რომელშიაც აღნუსხული იყო ძველი სერბიის საშინელი მდგომარეობა და, რომელიც მოუწოდებდა სერბიის სამეფოს მთავრობას ენერგიულ მოქმედებისაკენ. მიტინგის მონაწილენი აღფრთოვანებით მიეგებნენ რეზოლუციას ყვირილით: „ომი ოსმალეთს!“ და მშვიდობიანად დაიშალნენ..

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) მღვ. ტაბლიაშვილის ოჯახობამ ქართული თეთრი ფული.

2) გენერალ-მაიორის ქვრივმა ლუდმილა ალექსანდრეს ასულმა კარნილოვიჩმა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის ფოტოგრაფიული სურათი.

„საზოგადოების“ საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## თეატრი და ხელოვნება

**სოფ. ბაკურციხე** (ქიზიყი). 6 აგვისტოს აქ დადგეს ივ. ბუთლიაშვილის რეჟისორობით „დამარცხებულნი“ დრამა პ. ირეთლისა და მხიარული ვოდევილი „გეურქ-აღა და ვანტაჟისტები“. წარმოდგენამ მეტად სუსტად ჩაიარა. პ. ირეთლის დრამაზე არაფერს ვიტყვი რადგანაც ჩვენი ინტელიგენცია საკმაოდ კარგად იცნობს. აღსანიშნავი არიან ბ-ნ გარიკი და ვ. დ. ვაჩნაძე. უკანასკნელი სამს როლს ასრულებდა და თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა რისთვისაც მადლობას უძღვნით. რაც შეეხება ბ ნ გარიკის თამაშს იგი სრულიად უნაკლულო იყო. ბ-ნ გარიკს უტყუარი სასცენო ნიჭი ეტყობა. დანარჩენები ძალიან სუსტობდნენ. ბ-ნ ს. მაჭავარიანი ნიკოს როლში სუსტი იყო. ვერც ბ-ნ ბუთლიაშვილმა დაგვაკმაყოფილა იმერელ ბიჭის როლში, იმერლის კილო სრულიად არა ჰქონდა არა უჭირდათ-რა ქ-ნ მაჭავარიანის ასულს (ქეთო) და ქ-ნ მაჭავარიანისას (ელისაბედ) უკანასკნელ ბოლო მოქმედებაში მშვენივრად უწყობდა ხელს ბ-ნ გარიკის თამაშს.

ვოდევილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. ბ-ნ ბუთლიაშვილმა (გეურქ-აღა) მოხდენილი თამაშით ბევრი აცინა მაყურებლები. კარგი იყო იაკოფას როლში ბ-ნ ს. მაჭავარიანი, ეტყობა მას ეს როლი ეხერხება. ხალხი ცოტა დაესწრო. როდის უნდა შეეჩვიოს ჩვენი გლეხობა თეატრს—ამ მეორე სკოლას, მიმყუდროებულ ცხოვრებაში.

**ალაზნისპირელი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 5 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** **საგარეუბნო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ:** **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ, **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** **საგარეუ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** **სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** **საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან** **საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. **პირდაპირი** ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დილისით და შაბათობით დილის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური“ ტელ. 682.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი. ამაღლების ქ. 8. 517).

5—6 **ო. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **ვ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9,

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. მაჟერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., ', ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

## განცხადებანი


**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯალოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილ 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრევბსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილი 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ, რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(0—1253—98)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. ავასართვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ტევტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ტევტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ნ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1078.199

**სამშობიარო თავშესაფარი ოფშაროვისა**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.53)

**იყიდება სახლი**

კუკიაში, ავჭალის მოედ., ნემეც. სასაფლ. მახლ.—ალაგირის ქ. № 16 სახლი ასლამაზოვისა. ორ მხრივ ქუჩაზე. (1—629—1)

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის საგუბალტრო კურსები**

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—13)

**ფეხსაცმელები**

**თომა დ. ჯანჯღავაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში**

მუხრანის ქ., № 2.

ყოველ ნაირი ფეხ აც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.



(25.549.17)

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წ ა მ ა ლ ი**

**„SALO—პიჩილინი“**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 8 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. разъѣзжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში, Метиль 23672. (წ.1161.19)

**24 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.**





1, ლამაზი, მკვიდრი კაცის საათი „ანკერი“ (არა ცილინდრისა, შავის ინგლისური ფოლადისა, 15 ქვიანი, „ქრონომეტრის“ სისტემისა, მომართვა სჭირია 36 საათში ერთხელ, წუთი-წუთად არის გასწორებული. 8 წლის გარანტიის ვიძლევით. 2, კოხტა ძეწკვი, ორ-რიგი. 3, შინა-სინემატოგრაფი, საინტერესო სურათებით, ან კომპასი. 4, საათის შესანახი ნატის ბუდე. 5. კოხტა ბეჭედი „დუბლი“, პარიზის ქვებიანი. 6—9, სატუალეტო ჯიბის ნესეცერი ოთხის საინტერესო ნივთითა. 10, საათის ქურდთაგან უზრუნველმყოფელი. 11, პარიზული „პლასტიგრაფი“ უჩვენებს ყოველგვარ სანახაობას 12—17, საამისო ექვსი საინტერესო სურათი. 18 ნიკელის სამწერლო მოწყობილობა ჯიბით სატარებლად. 19 კოხტა, მოვერცხლილი საწუმწუმო 20, ჯიბის, დასაკეცი მაკრატელი ინგლისურ ფოლადისა. 21, საშინაო სტამბა—არის 100-მდე ასო და ციფრი დასაბეჭდი. 22, სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23, ტყავის ახალ მოდის პორტმანე 6 განყოფილებიანი, ძალიან თხელი და სატარებლად მოხერხებული. მთელ გარნიტ. **ფასი 3 მ. 45 კ.**, 2 გარნიტ **6 მ 45 კ.**, ამასთანავე გარნიტ. უმაღლეს ხარისხის ნივთ. თხელ. საათითა—**4 მ 45 კ.**, 2 გარანტური—**8 მ. 45 კ.** ხუფიანი საათი, ანუ ქალისა ყველა საჩუქრებითა 1 მან. ძვირადაა. გაგზავნა **40 კ.**, ციმბირში **70 კ.** უგზავნით ფასდადებით, უბეოდ

უფასო პრემია 8 მანეთად ღირებული

**ადრესი:** Т ву „Патентъ“, варшава, Св. Креста № 48, отд. 11б.

გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტსა ან ღია ბარათზე.

Метцль. 44333. (2—1459—4)

**მიიღეთ მარიამობისთვის**

**შვედური და დელიკატესნი კილკები.**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძმეველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

**ბოჭკის საუკეთესო ხიზილალა,**

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

**აგრეთვე მოგვდის ცოცხალი ლოქო და კობრი, საზანი.**

(წ.1131.239)

**ცინკოგრაფია**

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

**კლიშეების დამზადებას.**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.22)

**ე. ა. ცატუროვის დეპოში**

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

**რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.**

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

(40—1400—13)


ტფილისი, მუხრანისქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.